სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარია სიჩანინ

„მისტიკა კინემატოგრაფში“

აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

[0211 აუდიოვიზუალური ხელოვნება
კვალიფიკაცია - აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი]

თბილისი, 2025 წელი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

კინო-ტელე ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა:
„აუდიოვიზუალური ხელოვნება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები :

დავით ჯანელიძე , სრული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

ქეთევან ტრაპაიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

ექსპერტი:

ალექსანდრუ სტერიანი, დოქტორი (PhD), ჰაბილიტირებული პროფესორი
თეატრისა და კინოს ეროვნული უნივერსიტეტი „I.L. Caragiale“, ბუქარესტი, რუმინეთი

რეცენზენტები :

მაია ლევანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

მანანა ლეკბორაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი:

ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის
ვებგვერდზე: www.tafu.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ანოტაცია

წინამდებარე კვლევა მოიცავს მისტიკური ჟანრისა და ამ ჟანრში გამოყენებული კინოხერხების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციების ანალიზს. საკითხი განხილულია მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი კინოპერსონაჟების მაგალითზე, რომელთა სახეები და დამახასიათებელი ნიშნები ფილმიდან ფილმში მეორდება.

კვლევა ასევე ეხება მაყურებლის მოთხოვნილებების ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და მისტიკური ჟანრის ცვლილებებს დროის ჭრილში. ეს ცვლილებები ხშირად სწორედ პერსონაჟების ტრანსფორმაციაში ვლინდება.

იმის გათვალისწინებით, რომ კინოხელოვნებაში პერსონაჟი წარმოსახვისა და შემოქმედებითი კონცეფციის გამომხატველ ფორმად მოიაზრება, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სამ ძირითად ფენომენზე: „Freak Show“ — სადაც გაანალიზებულია განსხვავებული ინდივიდების ბედისწერაზე აგებული მისტიკური სიუჟეტების ტენდენციები და მახასიათებლები; ალქაჯი — როგორც ქალის პორტრეტი მისტიკურ ჟანრში და მასთან დაკავშირებული ვიზუალური თხრობის თავისებურებები; ვამპირი — როგორც ერთ-ერთი

ყველაზე გავრცელებული არქეტიპი კინემატოგრაფში, თავისი დამახასიათებელი თვისებებითა და ტენდენციებით.

კვლევა ეფუძნება კონკრეტულ თემებსა და ცნობილ პერსონაჟებზე შექმნილი ფილმების ანალიზს. ამ პროცესში ხდება პერსონაჟების მახასიათებლებისა და გამოყენებული კინოხერხების გამოვლენა. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისტიკური პერსონაჟების გავლენა და მაყურებელზე მათი ძლიერი ზემოქმედების მიზეზები, ასევე გამოიკვეთოს ჟანრისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური თხრობისა და ვიზუალური გადაწყვეტების თავისებურებები.

კვლევის მიზანია, მიღებული შედეგების საფუძველზე, არა მხოლოდ ქართულ რეალობაში მისტიკური ჟანრისა და მისი ელემენტების კრიზისის მიზეზების წარმოჩენა, არამედ მისი მნიშვნელობის განსაზღვრაც კინემატოგრაფიული პროცესისთვის. ამასთან, ნაშრომი ცდილობს წარმოაჩინოს კვლევაში განხილული პერსონაჟების ინტეგრირების გზები თანამედროვე ქართულ კინოში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მისტიკა, მისტიფიკაცია, მისტიკური ჟანრი, Freak Show, ალქაჯი, ვამპირი, კინოხერხები, ტენდენციები. შესავალი

კინომ თავისი განვითარების გზაზე მრავალმხრივი ტრანსფორმაცია განიცადა. დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს ეკრანისთვის ტაბუდადებული თემა და კინემატოგრაფი სხვადასხვა ჟანრის თავისუფალ სინთეზს გვთავაზობს. მისტიკური ჟანრის ფილმები განსაკუთრებით მიმართულია მაყურებლის გონებრივი და ემოციური ჩართულობის გაძლიერებისკენ.

ჟანრისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური ელემენტები — გაურკვევლობა, ზებუნებრივი მოვლენების ეტაპობრივი გამჟღავნება და დამალული ინფორმაციის არსებობა — რეჟისორისგან ფრთხილად აგებულ ნარატიულ სტრუქტურას მოითხოვს.

მისტიკურ ფილმებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაყურებლისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას. განათება, ჩრდილების თამაში, კამერის მოძრაობა და ფერების სიმბოლიკა პირდაპირ განსაზღვრავს ფილმის ეფექტურობას. ამ ელემენტების ჰარმონიული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი სრულად აცნობიერებს ჟანრის ვიზუალურ და ნარატიულ სპეციფიკას.

მისტიკური ჟანრი განსაკუთრებულად ეფუძნება მაყურებლის მოლოდინების მართვას. მისი სტრუქტურის ცოდნა რეჟისორს საშუალებას აძლევს ეფექტურად იმოქმედოს შიშზე, დაძაბულობასა და გაურკვევლობაზე, რაც ამ ტიპის კინოს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს.

პრობლემის არსი

მისტიკური ჟანრის სტრუქტურისა და თხრობის პრინციპების ცოდნა კინორეჟისორისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ჟანრის კომპლექსური ბუნება მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას. ავტორი, რომელიც არ ფლობს ამ სტრუქტურულ საფუძვლებს, ხშირად ვერ აღწევს იმ ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ ეფექტს, რომელიც მისტიკური ფილმისთვის აუცილებელია.

ამგვარად, პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჟანრის ეფექტური გამოყენება შეუძლებელია მისი სიღრმისეული გააზრების გარეშე.

კვლევის მნიშვნელობა

მისტიკა, როგორც ფენომენი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო კულტურასა და ხელოვნებაში. იგი წარმოადგენს მეტაფიზიკური რეალობის აღქმის ერთ-ერთ ფორმას და უკავშირდება ადამიანის მუდმივ ინტერესს შეუცნობელისა და არარეალურის მიმართ.

ქართული კულტურული მემკვიდრეობა — ხალხური ლიტერატურა, მითოლოგია, ზღაპრები — ნათლად აჩვენებს, რომ მისტიკური აზროვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ შემოქმედებით ცნობიერებაში. ამ სივრცეში იკვეთება მდიდარი პოტენციალი როგორც თხრობითი, ისე ვიზუალური ინტერპრეტაციისთვის.

მისტიკური ელემენტების გააზრება და მათი კინემატოგრაფში გამოყენება ქმნის შესაძლებლობას ახალი დრამატურგიული ფორმებისა და კინოხედვის განვითარებისათვის.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული მასალის ანალიზს. განხილულია როგორც კინოხელოვნებაში

დამკვიდრებული პერსონაჟები, ასევე მათი წარმოშობა სახვითი ხელოვნებიდან და სოციალური რეალობიდან.

ანალიზის პროცესში იკვეთება, თუ რა გავლენა მოახდინეს აღნიშნულმა პერსონაჟებმა კინემატოგრაფზე, როგორ ინტეგრირდნენ სხვადასხვა ჟანრში და რა ახალი დრამატურგიული თუ ვიზუალური შესაძლებლობები შექმნეს.

მისტიკური ჟანრის სტრუქტურის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ნარატივის ეფექტურად აგებისთვის, რადგან ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური და ვიზუალური ელემენტები განსაზღვრავს მაყურებელზე ზემოქმედების ხარისხს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მისტიკური ჟანრის მნიშვნელობის წარმოჩენა კინემატოგრაფში, მისტიფიკაციის, როგორც კინოხერხის, შესაძლებლობების განსაზღვრა და მისი აქტუალობის ანალიზი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაყურებლის მოთხოვნილებების ცვლილებას, რაც განპირობებულია როგორც ადამიანის ბუნებით, ისე სოციალური და გარემო ფაქტორებით.

კვლევითი საკითხების მიმოხილვა

კვლევა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: მისტიკური ჟანრის აქტუალობა და მისი მიზიდულობის ფენომენი; ჟანრის ტრანსფორმაცია და სხვა ჟანრებთან სინთეზი; მაყურებლის ინტერესის ფსიქოლოგიური საფუძვლები; მისტიფიკაცია, როგორც კინოხერხი და მისი ზემოქმედების მექანიზმები.

ასევე განხილულია „Freak Show"-ს ფენომენი, მისი ისტორიული და კინემატოგრაფიული ტრანსფორმაცია; ალქაჯის სახე როგორც კულტურული და კინემატოგრაფიული კონსტრუქცია; ვამპირის არქეტიპი და მისი განვითარება კინოში.

თავი I

მისტიკური ჟანრის თვითმყოფადი როლი

მისტიკური თემატიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით პროცესში. სხვადასხვა ფილოსოფოსისა და მოაზროვნის —

ნიკოლაი ბერდიაევის, გილბერტ კიტ ჩესტერტონის, ალბერტ აინშტაინისა და რუფუს ჯონსის — შეხედულებები ადასტურებს, რომ მისტიკა არ ეწინააღმდეგება სამყაროს რაციონალურ აღქმას, არამედ ავსებს მას და სთავაზობს ალტერნატიულ ინტერპრეტაციას.

მისტიკა ხშირად განიხილება როგორც ადამიანის შინაგან სამყაროსთან კავშირის ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მას გასცდეს ყოველდღიური რეალობის საზღვრებს. ამ კონტექსტში იგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემოქმედებითი ინსპირაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

ქვეთავში „ფსიქოლოგიური მნიშვნელობა“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიშისა და ფობიების გადალახვის პროცესს მისტიკის მეშვეობით. აღნიშნული საკითხი გაანალიზებულია ფრიც რიმანის თეორიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შიში წარმოადგენს ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს.

მისტიკა, როგორც პიროვნული ტრანსფორმაციის საშუალება, ხშირად დაკავშირებულია იმ შინაგან პროცესებთან, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის თვითშეგნებას. იგი ქმნის სივრცეს,

სადაც შესაძლებელია როგორც საკუთარი შიშების გააზრება, ისე მათი გადალახვა.

მისტიკური ჟანრი ასევე მნიშვნელოვანია როგორც კინოხელოვნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების ერთობლიობა. მასში ერთიანდება თხრობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა იდუმალება, გაურკვევლობა, სიმბოლიზმი და ალეგორია.

განსაკუთრებული როლი ენიჭება ვიზუალურ კომპონენტებს — განათებას, ჩრდილების თამაშს, ხმოვან ეფექტებსა და მუსიკას. სწორედ ამ ელემენტების კომბინაცია ქმნის იმ ატმოსფეროს, რომელიც მაყურებელში იწვევს ემოციურ ჩართულობას.

მისტიკურ ფილმებში ხშირად გვხვდება ზებუნებრივი მოვლენების ინტეგრაცია ყოველდღიურ რეალობაში. ეს ქმნის ეფექტს, როდესაც მაყურებელი ვერ ახერხებს მკაფიოდ გამიჯნოს რეალური და არარეალური, რაც აძლიერებს ჟანრის გავლენას.

ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია ფსიქოლოგიური ფობიების გაძლიერება. რეჟისორი მიზანმიმართულად იყენებს ამ ხერხს, რათა მაყურებელი ჩართოს შინაგან კონფლიქტში და დააფიქროს საკუთარ შიშებზე.

სიმბოლური და ალეგორიული ხერხები მისტიკურ ჟანრში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს. ისინი საშუალებას აძლევს ავტორს, არაპირდაპირი გზით გადმოსცეს მნიშვნელოვანი თემები და მაყურებელს მისცეს ინტერპრეტაციის თავისუფლება.

მისტიფიკაცია, როგორც კინოხერხი, აერთიანებს აღნიშნულ ელემენტებს და ქმნის მრავალშრიან ნარატივს. სწორედ ამგვარი სტრუქტურა განაპირობებს მისტიკური ფილმების სიღრმეს, ემოციურ დატვირთვასა და ინტელექტუალურ ღირებულებას.

ამგვარად, მისტიკური ჟანრი წარმოადგენს არა მხოლოდ თხრობით ფორმას, არამედ კომპლექსურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგიურ, ვიზუალურ და ფილოსოფიურ ელემენტებს და ქმნის უნიკალურ კინემატოგრაფიულ გამოცდილებას.

თავი II

Freak Show — გზა ცირკიდან კინოეკრანამდე

მეორე თავი ეძღვნება „Freak Show“-ს ფენომენს და მის ტრანსფორმაციას კინემატოგრაფში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იძულებით შექმნილი სოციუმის იდეას,

რომელიც ბლეზ პასკალის მოსაზრებების კონტექსტში განიხილება.

პასკალის ხედვა ნათლად ასახავს იმ ემოციურ სირთულეს, რომელიც ადამიანის მარტოობასა და გაუცხოებას უკავშირდება. პრაქტიკულად არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ განუცდია განცდა, რომ იგი არ ესმის გარემოს, არ ეკუთვნის მოცემულ დროსა და სივრცეს, ან სხვაგან უნდა არსებობდეს. ეს განცდა უნივერსალურია და ყველა ადამიანს აერთიანებს.

ადამიანი სოციალური არსებაა და ბუნებრივად ისწრაფვის სოციუმის ნაწილად ყოფნისკენ. ამ პროცესში ის ან ცდილობს გარემოსთან ადაპტაციას, ან ეძებს ისეთ სივრცეს, სადაც თავს იდენტურად აღიქვამს. სოციუმთან ურთიერთობის ფორმები და მოტივები ინდივიდუალურია, თუმცა მათი საფუძველი საერთო ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებშია.

სწორედ საზოგადოების მხრიდან ფსიქოლოგიური წნეხისა და განსხვავებული ადამიანებისთვის არჩევანის შეზღუდვის შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. „Freak Show“ — სივრცე, სადაც თავს იყრიდნენ ფიზიკურად ან გარეგნულად განსხვავებული ადამიანები.

ქვეთავში „Freak Show — ისტორიული კონტექსტი და კინემატოგრაფიული ტრანსფორმაცია“ განხილულია XIX–XX საუკუნეების ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული ფენომენი. ამ პერიოდში საზოგადოების წინაშე ხდებოდა ადამიანების წარმოდგენა, რომლებიც გამოირჩეოდნენ ფიზიკური ანომალიებით ან ფსიქიკური თავისებურებებით.

მისტიკური ჟანრის კინოში „Freak Show“-ს თემა გარდაიქმნა ნარატიულ ხერხად, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არასტანდარტულ პერსონაჟებსა და მათ ირგვლივ არსებულ იდუმალ გარემოზე. აღნიშნულმა თემამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მისტიკური და საშიში ჟანრის განვითარებაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ტოდ ბრაუნინგის 1932 წლის ფილმი „Freaks“, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ თემის კინემატოგრაფიულ გააზრებაში. ფილმი აჩვენებს პერსონაჟებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან საზოგადოებაში მიღებული ნორმებისგან და ატარებენ ტრაგიკულ ბედისწერას.

ბრაუნინგის ხედვა მოგვიანებით აისახა სხვა რეჟისორების ნამუშევრებშიც. მაგალითად, დევიდ ლინჩის ფილმში „ადამიანი სპილო“ პერსონაჟის ვიზუალური განსხვავებულობა და მის

მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად წარმოჩინდება.

ასევე აღსანიშნავია რეი ბრედბერის ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი „Something Wicked This Way Comes“, რომელიც მისტიკური ატმოსფეროს მეშვეობით აღწერს ადამიანის შიშებსა და სურვილებს.

ალეხანდრო ხოდოროვსკის „Santa Sangre“ წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაგალითს, სადაც ცირკის გარემო ფსიქოდელიურ და მისტიკურ ნარატივს ქმნის. აქ „Freak Show“ აღარ არის მხოლოდ თემა — იგი თავად რეალობად იქცევა თავისი სიმბოლისტური კანონზომიერებებით.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება იმის გააზრება, რომ „Freak Show“ კინოში ფუნქციონირებს როგორც სიმბოლო — იგი ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას განსხვავებულობის მიმართ და ამავდროულად ავლენს მის ფარულ შიშებს.

ანიმაციაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თემის განვითარებაში. მაგალითად, უოლტ დისნეის „Dumbo“ წარმოადგენს ისტორიას პერსონაჟზე, რომელიც

განსხვავებულობის გამო იდევნება, თუმცა საბოლოოდ პოულობს საკუთარ ძალას.

თანამედროვე მაგალითებიდან აღსანიშნავია სერიალი „American Horror Story: Freak Show“, რომელიც ასახავს 1950-იანი წლების ამერიკაში არსებული ცირკის ბრძოლას გადარჩენისთვის. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება საზოგადოების დამოკიდებულება მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ.

ამ ტიპის ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვიზუალურ ესთეტიკასა და სიმბოლიზმს. რეჟისორები აქტიურად იყენებენ კადრებს, რომლებიც პირდაპირ არ ხსნის მოვლენებს, არამედ ქმნის ინტერპრეტაციის სივრცეს მაყურებლისთვის.

მუსიკა და ხმოვანი ეფექტები ხშირად ემოციური მდგომარეობის გადმოცემის მთავარ საშუალებად იქცევა. მათი მიზანია მაყურებლის მაქსიმალური ჩართულობა და პერსონაჟების განცდების გამძაფრება.

მიუხედავად განსხვავებული ფორმებისა და სტილისტიკისა, აღნიშნული ფილმები საერთო თემას იზიარებს — ადამიანის ბუნების, განსხვავებულობისა და საზოგადოების რეაქციის კვლევას. ისინი გვიჩვენებს, როგორ ყალიბდება

დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ ჯდებიან სტანდარტულ ჩარჩოებში.

ამგვარად, „Freak Show“ კინოში იქცა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს. იგი აძლიერებს მაყურებლის აღქმას და მას აიძულებს გადააფასოს საკუთარი დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ.

თავი III

ალქაჯი კინოში — დამოუკიდებელი ქალი თუ საზოგადოების შეთქმულების მსხვერპლი

მესამე თავი ეძღვნება ალქაჯის ფიგურას კინემატოგრაფში და მის მრავალმხრივ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. განხილულია, როგორ ყალიბდებოდა საზოგადოებრივი დამოკიდებულება ალქაჯობის ბრალდებების მიმართ და რა როლს ასრულებდა ამ პროცესში შიში, ცრურწმენები და სოციალური სტრუქტურები.

ისტორიულად ალქაჯის ფიგურა ხშირად დაკავშირებულია რელიგიურ ზეწოლასთან, პურიტანულ იდეალებთან და მასობრივ ისტერიულ განწყობებთან. სალემის ალქაჯების

პროცესები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, სადაც შიშმა და საზოგადოების ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ამ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალურ და ეკონომიკურ დაპირისპირებებს, გენდერულ უთანასწორობასა და ძალაუფლების დინამიკას. ხშირ შემთხვევაში ალქაჯობის ბრალდება მიმართული იყო ქალების წინააღმდეგ, რაც მათ სოციალურ როლსა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ შიშებს გამოხატავდა.

ქვეთავებში „ალქაჯები ხელოვნებაში“ და „ალქაჯები კინოეკრანებზე“ გაანალიზებულია როგორც მხატვრული სტერეოტიპები, ისე კონკრეტული კინემატოგრაფიული მაგალითები. მათ შორის არის ბენჟამინ კრისტენსონის ფილმი „Häxan“ (1922), რომელიც აერთიანებს დოკუმენტურ და დრამატულ ელემენტებს და იკვლევს ალქაჯობისა და ცრურწმენების ისტორიას.

ალქაჯის პერსონაჟი კინოში მრავალგვარია: იგი შეიძლება იყოს მოხუცი და გარეგნულად არამიმზიდველი, ან პირიქით — ახალგაზრდა, მიმზიდველი, ინტელექტუალური და დამოუკიდებელი. ზოგ შემთხვევაში იგი წარმოჩინდება როგორც

მსხვერპლი, სხვა შემთხვევაში — როგორც ძალაუფლების მატარებელი ფიგურა.

რომან პოლანსკის ფილმი „Rosemary's Baby“ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ნარატივს მისტიკურ კინოში. რეჟისორი ქმნის ატმოსფეროს, სადაც მაყურებელი მუდმივად გაურკვევლობაში იმყოფება და მოვლენების სრულ სურათს ვერ ხედავს. ამგვარი მიდგომა აძლიერებს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და მაყურებლის ჩართულობას.

სტივენ კინგის ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი „Carrie“ ასევე ასახავს ალქაჯის ფიგურის ტრანსფორმაციას. აქ პერსონაჟი განიცდის ძლიერ ფსიქოლოგიურ წნეხს, რაც საბოლოოდ ძალაუფლების სახით ვლინდება.

ნიკოლას როუგის ფილმში „The Witches“ წარმოდგენილია ალქაჯების სხვა სახე — ისინი მოქმედებენ როგორც ფარული ძალა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ზღაპრულ და მისტიკურ ელემენტებზე.

იაპონური ანიმაციური ფილმი „Belladonna of Sadness“ გამოირჩევა ფსიქოდელიური სტილისტიკით და წარმოადგენს მისტიკური ჟანრისა და ვიზუალური ექსპერიმენტის ერთ-ერთ

გამორჩეულ ნიმუშს. აქ ალქაჯის ფიგურა დაკავშირებულია შინაგან ტრავმებთან და ტრანსფორმაციასთან.

რობერტ ეგგერსის ფილმი „The Witch“ (2015) თანამედროვე კინოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნამუშევრად მიიჩნევა. ფილმი ავითარებს იდეას, რომ მისტიკური ძალები შეიძლება იყოს ადამიანის შინაგანი შიშებისა და რწმენების პროექცია.

მისტიკური ჟანრის ფარგლებში ალქაჯის ფიგურა ხშირად იქცევა სიმბოლოდ, რომელიც აერთიანებს შიშს, ძალაუფლებას, დამოუკიდებლობასა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმებს.

საინტერესოა, რომ ალქაჯის პერსონაჟი სხვადასხვა ჟანრში ადაპტირდება და ინარჩუნებს აქტუალობას. იგი ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფიგურა, რაც მის უნივერსალურობას განაპირობებს.

ამგვარად, ალქაჯის სახე კინოში წარმოადგენს მრავალშრიან კონსტრუქციას, რომელიც ასახავს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე სოციალურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს. მისი ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში აჩვენებს, თუ როგორ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ძალაუფლების, შიშისა და განსხვავებულობის მიმართ.

თავი IV

ვლად III ცეპეში, დრაკულა — მხატვრული ინსპირაციის თემა

მეოთხე თავი ეძღვნება ვლად III ცეპეშის, როგორც ისტორიული ფიგურის, და დრაკულას, როგორც კინემატოგრაფიული პერსონაჟის, ურთიერთმიმართებას. განხილულია, როგორ გარდაიქმნა რეალური ისტორიული პიროვნება მითოლოგიურ და მხატვრულ სახედ.

ბრემ სტოკერის „დრაკულა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვამპირის თანამედროვე არქეტიპის ფორმირებაში. ნაწარმოების პოპულარობა განპირობებულია იმ ფსიქოლოგიური ფაქტორებით, რომლებიც უკავშირდება სიკვდილის შიშს, სხეულზე კონტროლის დაკარგვასა და აკრძალული სურვილების თემას. ვამპირის ფიგურა ხშირად ასახავს ძალაუფლების, სექსუალობისა და უკვდავების იდეებს. იგი ერთდროულად იზიდავს და აშინებს მაყურებელს, რაც მისი პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ვამპირის არქეტიპი კინოში მრავალგვარად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუს „Nosferatu“

წარმოადგენს გერმანული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშს, სადაც პერსონაჟი პირქუში, დახურული სივრცისა და მკვეთრი ვიზუალური ფორმების ფონზე ვითარდება.

ვერნერ ჰერცოგის „Nosferatu the Vampyre“ განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. რეჟისორი ქმნის ატმოსფეროს, რომელიც ნაკლებად ეფუძნება შოკის ეფექტებს და უფრო მეტად — შინაგან სიცარიელესა და დრამატულ განწყობას.

ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმი „Dracula“ (1992) კლასიკური სიუჟეტის კიდევ ერთ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონაჟის ემოციურ და რომანტიკულ მხარეს.

თანამედროვე კინოში ვამპირის სახე ხშირად იცვლება და ერგება მაყურებლის მოთხოვნილებებს. მაგალითად, ფილმში „Interview with the Vampire“ პერსონაჟი უფრო ცინიკური და ნაკლებად რომანტიზებულია.

განსხვავებული მიდგომა გვხვდება ფილმში „What We Do in the Shadows“, სადაც ვამპირის ფიგურა კომედიურ და დოკუმენტურ კონტექსტშია წარმოდგენილი. ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს,

თუ რამდენად მოქნილია მისტიკური ჟანრი და როგორ შეუძლია სხვადასხვა ფორმის სინთეზი.

ამგვარად, ვამპირის არქეტიპი მუდმივად ტრანსფორმირდება და ასახავს საზოგადოების ინტერესებსა და შიშებს. მისი პოპულარობა განპირობებულია იმით, რომ იგი ეხება უნივერსალურ თემებს — სიცოცხლეს, სიკვდილს, ძალაუფლებასა და სურვილებს.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მისტიკური ჟანრის ძირითადი მახასიათებლები და მისი ფუნქცია კინემატოგრაფში. თხრობის, ვიზუალური სტრუქტურისა და კინოხერხების ანალიზმა აჩვენა, რომ ჟანრი ეფუძნება ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასა და მაყურებლის აქტიურ ჩართულობას.

მისტიკა კინოში ხშირად აღიქმება როგორც დამხმარე ელემენტი, თუმცა რეალურად იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნარატიულ სისტემას, რომელიც ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტურ შიშებსა და გაურკვევლობისადმი ინტერესს.

მისტიკური ჟანრი განსხვავდება ფენტეზისა და ჰორორისგან. თუ ფენტეზი მთლიანად გამოგონილ სამყაროს ეფუძნება, ხოლო ჰორორი მიმართულია მყისიერი შიშის გამოწვევაზე, მისტიკა უფრო მეტად მუშაობს ფსიქოლოგიურ დაძაბულობასა და ინტელექტუალურ ჩართულობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ მისტიკური ჟანრი მაყურებელზე უფრო ხანგრძლივ გავლენას ახდენს, რადგან იგი არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხებს და ტოვებს ინტერპრეტაციის სივრცეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შიშის ფენომენს. შიში არა მხოლოდ ნეგატიური ემოციაა, არამედ განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. იგი უბიძგებს ადამიანს უცნობთან შეხვედრისკენ და ახლის აღმოჩენისკენ.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი რეაქცია ხშირად წინააღმდეგობრივია. ფილმები, რომლებიც თავდაპირველად უარყოფითად მიიღეს, მოგვიანებით პოპულარული გახდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მაყურებელი ერთდროულად გაურბის და ეძებს იმ თემებს, რომლებიც მას აშინებს.

მისტიკური ჟანრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გააზრებაში. იგი ქმნის სივრცეს, სადაც

შესაძლებელია შიშების, კონფლიქტებისა და სურვილების ვიზუალური და ნარატიული ფორმით გამოხატვა.

პერსონაჟები — იქნება ეს „Freak Show“-ს წარმომადგენლები, ალქაჯები თუ ვამპირები — ასახავს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობებსა და სოციალურ რეალობას. მათი ტრანსფორმაცია კინოში მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად დროისა, ადამიანის ძირითადი შიშები და ინტერესები უცვლელი რჩება.

ამგვარად, მისტიკური ჟანრი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ესთეტიკურ ასპექტებს და ქმნის მრავალშრიან კინემატოგრაფიულ გამოცდილებას. სწორედ ეს განაპირობებს მის მუდმივ აქტუალობასა და განვითარების პოტენციალს.

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა მრავალფეროვანია თავისი მხატვრული დაკვლევითი სხვადასხვაობით, იმით, თუ რამდენად თავისუფალია სტივენ კინგისა და სხვა ავტორების წარმოსახვითი დიაპაზონი, აგრეთვე რამდენად ფსიქოანალიტიკური ქვეტექსტის მატარებელია დანარჩენი ავტორებისა და ისტორიული კვლევების შინაარსი:

1. "Curiosity and Exploration: Facilitating Positive Subjective Experiences and Personal Growth Opportunities" – Todd B. Kashdan, Paul Rose, and Francis D. Fincham (Journal of Personality Assessment, 2004, Vol. 82, No. 3, pp. 291-305)
2. "Danse Macabre" – Stephen King (Berkley Books, 1983)
3. "Demoniческий экран" – Lotte Eisner (Rosebud Publishing, 2010)
4. "Esoteric Christianity and the Spiritual Guidance of Mankind" – Rudolf Steiner (Philosophisch-Anthroposophischer Verlag, 1911)
5. "Freak Show: Presenting Human Oddities for Amusement and Profit" – Robert Bogdan (University of Chicago Press, 1988)
6. "Freaks: Myths and Images of the Secret Self" – Leslie Fiedler (Anchor Books, 1978)
7. "Monsters in the Closet: Homosexuality and the Horror Film" – Harry Benshoff (Manchester University Press, 1997)
8. "Mysticism at the Dawn of the Modern Spiritual Life" – Rudolf Steiner (C. A. Schwetschke und Sohn, 1901)
9. "Step Right Up! I’m Gonna Scare the Pants off America" – William Castle (Pharos Books, 1992)
10. "The Encyclopedia of Witches, Witchcraft, and Wicca" – Rosemary Ellen Guiley (Updated edition, Checkmark Books, 1999)
11. "The Vampire Book: The Encyclopedia of the Undead" – J. Gordon Melton (Visible Ink Press, 2011)
12. "Vampires: The Occult Truth" – Konstantinos (Llewellyn Publications, 1996)
13. "Vampires, Burial, and Death: Folklore and Reality" – Paul Barber (Yale University Press, 1988)
14. "Witches: The History of Persecution" – Nigel Cawthorne (Arcturus Publishing, 2003)

15. „მსოფლიო კინომატოგრაფიის ისტორია - უხმო კინო“ – ზვიად დოლიძე (კენტავრი, 2007)
16. „თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი და ჟანრული კინო - კითხვები და ვარაუდები“ – მანანა ლეკბორაშვილი (ვებგვერდი georgian-cinema.ge, 2019)
17. მიხეილ ბარნოვი – „ვლად მესამე ცეპეშის გატეხილი სახელი“ (ჟურნალი ისტორიანი, დეკემბერი, №12, 2014)
18. Lynch, David. *Catching the Big Fish: Meditation, Consciousness, and Creativity*. Tarcher, (2006)

დამატებითი წყაროები ინტერნეტიდან:
კინო და კინოხელოვნება

19. Taste of Cinema – 15 სიურეალისტური კინოს კულტური ფილმი
20. Nosferatu – საშინელების სიმფონია (რუსული ვიკიპედია)
21. ეკრანკა – ფილმების განხილვა
22. Kolker, Robert Phillip – *The Altering Eye: Contemporary International Cinema* (2009)
23. Cousins, Mark – *The Story of Film: A Worldwide History* (2006)
24. King, Geoff – *New Hollywood Cinema: An Introduction* (2002)

ვამპირები და ზებუნებრივი თემები

25. Vampires – ისტორია და მითოლოგია
26. History.com – ვამპირების ისტორია
27. Stanford.edu – აკადემიური რესურსი ვამპირების თემაზე
28. Claude Lecouteux – The Secret History of Vampires
29. Vampire Lectures – Laurence A. Rickels

მაგია, მითოლოგია და ფოლკლორი

30. AT.ge – ჯადოქრობა ფერწერაში
31. Saba Mythology – მითოლოგიის მიმოხილვა

ქართული კინოს ისტორია

32. Georgian Cinema – ქართული კინოს ისტორია

რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება

33. Einstein & Religion – სული
34. Learn Religions – აინშტაინის ციტატები სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე
35. LibQuotes – აინშტაინის ციტატები გამოცდილებაზე

ფსიქოლოგია და ფილოსოფია

36. Bookey – Anxiety by Fritz Riemann

პრაქტიკული ნაშრომის ლინკი :

https://drive.google.com/file/d/1PGlcUsFj_BRS3GOU4ZqCLUAMHbEqh45r/view?usp=drive_link